ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №14

2011 წლის 28 იანვარი

ქ. ხაშური

ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობაში სტაჟირების გავლის წესის დამტკიცების შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 22-ე და 43-ე მუხლების შესაბამისად, **დაადგინა**:

1. დამტკიცდეს ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობაში სტაჟირების გავლის წესი დანართი №1-ისა და შესაბამისი მოწმობის – სერტიფიკატის ფორმა დანართი №2-ის შესაბამისად.
2. დადგენილება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე დ. ლომიძე

დანართი №1

ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობაში სტაჟირების გავლის წესი

თავი I
ზოგადი დებულებანი

მუხლი 1

1. წინამდებარე წესი განსაზღვრავს ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობის სტაჟირების გავლის წესსა და პირობებს.
2. ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიზანია აღნიშნული წესის საფუძველზე უზრუნველყოს მაღალკვალიფიციური კადრების მომზადებისათვის, მათი პროფესიული ცოდნის გაღრმავებისათვის, პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავებისა და სრულყოფისათვის საჭირო პირობების შექმნა.

მუხლი 2

ამ წესში გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

ა) **სტაჟირება** – ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობაში ამ წესით გათვალისწინებული საქმიანობა, რომელიც არ ანაზღაურდება;

ბ) **სტაჟიორი** – პირი, რომელიც ამ წესის შესაბამისად გადის სტაჟირებას ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობაში;

გ) **კანდიდატი** – პირი, რომელიც ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობაში წარადგენს განაცხადს სტაჟირების შესახებ;

დ) **უშუალო ხელმძღვანელი** – ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგებლის მიერ განსაზღვრული პირი, რომელიც სტაჟირების მთელ პერიოდში ხელმძღვანელობს სტაჟიორის საქმიანობას.

თავი II
სტაჟიორის სტატუსი

მუხლი 3

1. სტაჟიორად მიიღება მხოლოდ უმაღლესი განათლების მქონე პირი ან უმაღლესი სასწავლებლის დამამთავრებელი კურსის სტუდენტი შესაბამისი სპეციალობის მიხედვით.
2. კანდიდატი სტაჟირების გავლისათვის უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ აუცილებელ მოთხოვნებს:

ა) იყოს საქართველოს მოქალაქე;

ბ) სრულყოფილად ფლობდეს საქართველოს სახელმწიფო ენას.

მუხლი 4

1. კანდიდატმა უნდა წარმოადგინოს:

ა) განცხადება ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგებლის სახელზე;

ბ) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;

გ) დიპლომის ასლი ან ცნობა უმაღლესი სასწავლებლიდან;

დ) ავტობიოგრაფია (CV, რეზიუმე);

ე) ორი ფოტოსურათი (3X4).

2. განცხადების წარდგენიდან არა უგვიანეს ორი კვირისა კანდიდატი გასაუბრებას გადის ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგებელთან.

3. კანდიდატის სტაჟიორად მიღების ან მიღებაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს გამგებელი, დადებითი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში გამგებელი განსაზღრავს სტაჟიორის უშუალო ხელმძღვანელის ვინაობას.

4. სტაჟირების ვადა არ უნდა აღემატებოდეს ექვს თვეს.

5. (ამოღებულია - 25.03.11 №26).

თავი III
სტაჟიორის უფლებები და ვალდებულებები

მუხლი 5

სტაჟიორს უფლება აქვს:

1. გაეცნოს მისთვის საჭირო სამსახურებრივ დოკუმენტაციას და სხვა მასალებს, ისარგებლოს სათანადო სამეცნიერო და ანალიტიკური ინფორმაციით.

2. დაესწროს გამგეობის თათბირებს და სხვა ღონისძიებებს, მონაწილეობა მიიღოს მათ ორგანიზაციულ-ტექნიკურ უზრუნველყოფაში.

მუხლი 6

სტაჟიორი ვალდებულია:

1. გაეცნოს და იხელმძღვანელოს იმ ნორმატიული აქტებით, რომლებიც აწესრიგებენ და განსაზღვრავენ ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობის უფლებამოსილებებს, დაიცვას შრომის კანონმდებლობით და შინაგანაწესით დადგენილი ნორმები.

2. დადგენილ ვადაში შეასრულოს უშუალო ხელმძღვანელის ყველა მითითება და მოთხოვნა.

3. გაეცნოს შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის მუშაობის სპეციფიკას, საქმიანობის სფეროს, საზედამხედველო და ორგანიზაციულ საქმიანობას, სხვადასხვა საკითხების მომზადებისა და დოკუმენტების შედგენის პრაქტიკას; თანამშრომელთა ცოდნა და გამოცდილება გამოიყენოს მასზე დაკისრებული მოვალეობის შესრულებისათვის.

4. უშუალო ხელმძღვანელის მითითებით შეასრულოს სამსახურის საქმიანობასთან დაკავშირებული კონკრეტული დავალებები.

თავი IV
ხაშურის მუნიციალიტეტის გამგეობის ვალდებულება სტაჟიორის მიმართ

მუხლი 7

1. ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობა სტაჟიორს უქმნის სათანადო პირობებს პროფესიული უნარ-ჩვევებისა და პრაქტიკული გამოცდილების შესაძენად.

2. სტაჟიორის უშუალო ხელმძღვანელი ვალდებულია:

ა) პირადად აკონტროლოს სტაჟიორის საქმიანობა;

ბ) პერიოდულად მიაწოდოს სასწავლო თემატიკა, მისცეს დავალებები და უზრუნველყოს შესაბამისი ინფორმაციით;

გ) ხელი შეუწყოს სტაჟიორს მისთვის დაკისრებული მოვალეობების შესრულებაში.

თავი V
სტაჟირების სხვა პირობები

მუხლი 8

1. სტაჟირების შეწყვეტის საფუძველია:

ა) სტაჟირების პერიოდში არასაპატიო მიზეზით 5 დღის განმავლობაში ან სტაჟირების ვადის 1/4-ის განმავლობაში სტაჟირების ადგილას გამოუცხადებლობა;

ბ) დავალებების შეუსრულებლობა ან არაჯეროვანი შესრულება;

გ) პირადი განცხადება;

დ) სტაჟირების ვადის გასვლა (სტაჟირების დასრულება).

2. სტაჟირების შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგებელი სტაჟიორის უშუალო ხელმძღვანელის რეკომენდაციის საფუძველზე.

3. სტაჟირების პროცედურის საერთო კოორდინაციას ახორციელებს ხაშურის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული სამსახური, რომელიც იბარებს კანდიდატთა საბუთებს და უზრუნველყოფს ყველა საჭირო დოკუმენტის მომზადებას.

თავი VI
სტაჟირების დასრულება და სერტიფიკატის გაცემა

მუხლი 9

1. სტაჟირების დასრულების შემდგომ სტაჟიორის მიერ შეძენილ ცოდნასა და პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს აფასებს ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგებელი, სტაჟიორის უშუალო ხელმძღვანელის რეკომენდაციის საფუძველზე.

2. სტაჟირების შედეგები შეიძლება შეფასდეს დადებითად ან უარყოფითად.

3. სტაჟირების შედეგების დადებითად შეფასების შემთხვევაში გაიცემა შესაბამისი სერტიფიკატი.

სერტიფიკატი

სერტიფიკატი ეძლევა

_____

სახელი, გვარი

ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობაში სტაჟირების კურსის წარმატებით დასრულებისათვის

ხაშური

_____ _____

ხელმოწერა თარიღი